ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • დეკემბერი/2025 N12/117

დავით სონღულაშვილის საერთაშორისო ვიზიტები:

- კენიის რესპუბლიკაში
- ისრაელის სახელმწიფოში
- დავით სონღულაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრს შეხვდა
- დავით სონღულაშვილი სომხეთის ეკონომიკის მინისტრს, გევორგ პაპოიანს შეხვდა

გვ. 2-3

UNESCO-მ „ქართული ხორცის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანა

გვ. 4

არასტანდარტული ვაშლისა და მანდარინის მოსავლის დაბინავება

გვ. 5

- ნინო თანდილაშვილი გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მერვე სესიის (UNEA-8) ვიცე-პრეზიდენტად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლად მეორე ვადით აირჩიეს
- ევროპის საბჭოს ბერნის კონვენციის თავმჯდომარედ კარლო ამირგულაშვილი აირჩიეს
- ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა
- ლაშა ავალიანი: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სურსათში ტრანსცხიმების შემცირების მიმართულებით”

გვ. 6-9

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

საქართველოს მთავრობამ განიხილა და მოიწონა „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“

გვ. 10

საქართველოს მელიორაცია

სურსათის ეროვნული სააგენტო გირჩევთ

არ შეიძინოთ!!!

ხორცი, ხორცპროდუქტები, რძე და რძის ნაწარმი არაორგანიზებულ სავაჭრო ადგილებში, სადაც არ არის დაცული შენახვისა და რეალიზაციის შესაბამისი მოთხოვნები!

აშშ-ში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე U.S. PRIVATE LABEL TRADE SHOW 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი იყო წარმოდგენილი

გვ. 11

ეროვნული პარკები, რომლებიც ზამთარში აუცილებლად უნდა მოინახულოთ

გვ. 12

! ეროვნული სატყეო სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, ნუ გაანადგურებენ ბუნებრივ სიმდიდრეს და გამოიყენონ ხელოვნური ნაძვის ხე

საქართველოში პირველად ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების ელექტრონული მონაცემთა ბაზა შეიქმნა

გვ. 13, 14

- რა ღონისძიებებს ატარებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და რა რაოდენობის ჯარიმების გადახდა უწევთ სამართალდამრღვევებს
- ტრანსსასაზღვრო დაბინძურება ატმოსფერულ ჰაერში

გვ. 15

საქართველოში ნიადაგის მსოფლიო დღე აღინიშნა

გვ. 16

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

კავკასიური ყარნა • კოჭობა • კავკასიური ციყვი • ტარბი

დავით სონღულაშვილის ვიზიტი კენიის რესპუბლიკაში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი კენიის რესპუბლიკაში, ქალაქ ნაირობიში, გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მეშვიდე სესიას (UNEA-7) დაესწრო და სიტყვით გამოვიდა.

ლიდერთა პანელზე გამოსვლისას მინისტრმა ისაუბრა საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტებზე, მიღწეულ პროგრესსა და იმ როლზე, რომელსაც ქვეყანა გლობალური მდგრადი განვითარების პროცესებში ასრულებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას.

„გარემოსდაცვითი რეფორმებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია მშვიდობის გარეშე. მხოლოდ მშვიდობა უზრუნველყოფს თითოეული ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და დასახული მიზნების მიღწევას“, – განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მეშვიდე სესიას მსოფლიოს 50-მდე ქვეყნის გარემოსდაცვითი და კლიმატის მიმართულების მინისტრები, ასევე 130 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში დავით სონღულაშვილმა შეხვედრები გამართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) აღმასრულებელ მდივან ტატიანა მოლჩეანთან, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) აღმასრულებელ დირექტორ ინგერ ანდერსენთან, ასევე, კენიის სოფლის მეურნეობის მინისტრ მუთაი კაგვესთან, კენიის გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებებისა და სატყეო მეურნეობის მინიტრ დებორა მლონგო ბარასასთან და ბელგიის სამეფოს კლიმატის და ეკოლოგიის მინისტრ ჟან-ლუკ კრიუკესთან.

შეხვედრებზე განხილული იყო საქართველოს გარემოსდაცვითი რეფორმები, მიღწეული შედეგები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. მინისტრის განცხადებით, საერთაშორისო პარტნიორებმა საქართველოს მიმართ ურყევი მხარდაჭერა და რეფორმების განხორციელების პროცესში თანადგომა გამოხატეს.

კენიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო აგრარული სექტორის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებსაც. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოში აგრარული წარმოებისა და ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრების გახსნა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საერთაშორისო პარტნიორებისთვის ახალი შესაძლებლობებია.

შეხვედრა კენიის სოფლის მეურნეობის მინისტრთან

შეხვედრა კენიის გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სატყეო მეურნეობის მინისტრთან

შეხვედრა UNEP -ის აღმასრულებელ დირექტორთან

შეხვედრა კენიის გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სატყეო მეურნეობის მინისტრთან

შეხვედრა კენიის რესპუბლიკის ინვესტიციების, ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრთან

შეხვედრა ბელგიის სამეფოს კლიმატის და ეკოლოგიის მინისტრთან

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი

UNECE-ის აღმასრულებელმა მდივანმა ტატიანა მოლჩეანმა დადებითად შეაფასა საქართველოს პროგრესი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების, წყლის რესურსების დაცვისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მიმართულებით. თავის მხრივ, UNEP-ის აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონში გარემოსდაცვითი რეფორმების კუთხით ლიდერია და განსაკუთრებულად გამოარჩია ერთჯერადი პლასტმასის პროდუქციის რეგულირების ინიციატივები, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის ჯანმრთელობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 27 გარემოსდაცვითი მიმართულების დირექტივიდან 21 უკვე ქვეყნის კანონმდებლობაშია ინტეგრირებული, ხოლო დარჩენილი 6-ის ინტეგრირება 2028 წლის ბოლომდე დასრულდება. დავით სონღულაშვილის განცხადებით გარემოს დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ბოლო წლებში გაიზარდა საბიუჯეტო დაფინანსება, გაძლიერდა ინსტიტუციური შესაძლებლობები და დაჩქარდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ნაირობიში დავით სონღულაშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში - „დრო იწურება: გლობალური პლასტმასის ხელშეკრულებაზე შეთანხმების დროა“, სადაც გარემოს დაცვის საკითხებში ევროკომისრის, ჯესიკა როზვალის და ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი ქვეყნის (დანიის) გარემოს დაცვის მინისტრის, მაგნუს ჰეუნიკეს ერთობლივი მოწვევით იმყოფებოდა.

„მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები ქმნის საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური როლის ზრდისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებისთვის. საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია ეროვნული გარემოსდაცვითი სისტემის რეფორმირება მოქალაქეებისთვის უფრო ჯანსაღი გარემოს შექმნისა და საერთაშორისო ვალდებულებების გედმიწევნით შესრულების მიზნით“, – განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას დავით სონღულაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა, მზად არის გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. მინისტრმა ისაუბრა ახალ რეგულაციებზე, რომლის მიხედვითაც 2026 წლის იანვრიდან აიკრძალება შერჩეული ერთჯერადი პლასტმასის პროდუქტებისა და გაფართოებული პოლისტიროლის (EPS) საკვების კონტეინერების იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია. მისივე თქმით, ეს გადაწყვეტილება პლასტმასის დაბინძურების შემცირებასა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.

დავით სონღულაშვილის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში

ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ისრაელის სახელმწიფოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის მინისტრს, ავი დიხტერს შეხვდა.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავებაზე გამახვილდა ყურადღება.

> შეხვედრაზე, მინისტრებმა ხელი მოაწერეს განზრახულობათა დეკლარაციას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობის ძირითადი საკითხები გამოიკვეთა, როგორებიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობის გაფართოება, სურსათის უსაფრთხოება, თანამედროვე საირიგაციო სისტემების დანერგვის ხელშეწყობა, თანამედროვე ბაღების გაშენება, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, თანამშრომლობა ვეტერინარულ სფეროში, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობის მონიტორინგის მიმართულება, სურსათის უვნებლობა, მათ შორის ლაბორატორიული შესაძლებლობების განვითარება.

ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დავით სონღულაშვილი ისრაელის სახელმწიფოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის უსაფრთხოების მინისტრ ავი დიხტერთან ერთად, ისრაელის ეროვნული სასოფლო-სამეურნეო კვლევით ინსტიტუტს - ვოლკანის ცენტრს ეწვია და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

დავით სონღულაშვილი იერუსალიმში ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარეს, ამირ ოხანას, ასევე ქნესეთის საქართველო-ისრაელის მეგობრობის ჯგუფის და ეკონომიკური კომიტეტის ხელმძღვანელს, დავით ბიტანს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი მიმართულებები და რეგიონული სტაბილურობის საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დავით სონღულაშვილი გარემოს დაცვის მინისტრს, იდიტ სილმანს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს კლიმატის ცვლილებების ფონზე არსებულ გამოწვევებზე, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებზე. აღნიშნულ კონტექსტში საერთაშორისო თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება.

ქართული დელეგაციის წევრებთან ერთად, დავით სონღულაშვილი იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქს, თეოფილე III-ს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიებს შორის არსებულ ისტორიულ კავშირებზე, მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ისრაელის სახელმწიფოში გამართულ ოფიციალურ შეხვედრებს, დავით სონღულაშვილთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში ზაზა კანდელაკი და საქართველოს საპატიო კონსული მენი ბენიში ესწრებოდნენ.


შეხვედრა ისრაელის სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის მინისტრთან

შეხვედრა ისრაელის ქნესეთის თავჯდომარესთან

ვიზიტი ისრაელის ეროვნული სასოფლო-სამეურნეო კვლევით ინსტიტუტში ვოლკანის ცენტრში

შეხვედრა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქ თეოფილე III-სთან

შეხვედრა ისრაელის გარემოს დაცვის მინისტრთან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრ მაჯნუნ მამადოვს და დელეგაციის წევრებს შეხვდა

შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

დავით სონღულაშვილმა კოლეგა მინისტრს აგრარული დარგის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები გააცნო და ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების და სურსათით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით საქართველო-აზერბაიჯანს შორის გაფორმებული მემორანდუმის მნიშვნელობას. მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება საექსპორტო პოტენციალის მქონე ქართული წარმოების პროდუქტებზე გაამახვილა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, ფიტოსანიტარიის, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი და დარგობრივი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით თანამშრომლობის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობის საკითხებს.

საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ქართულ-ფრანგული ერთობლივი საწარმოს „ფუდ ალიანსი“ საქმიანობას გაეცნო.

მაჯნუნ მამადოვი, აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციის წევრებთან ერთად, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში იმყოფებოდნენ, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიის „გარდაბნის მესაქონლეობა“ მესაქონლეობის ფერმის საქმიანობას გაეცნენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგებში, მაჯნუნ მამადოვს, საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩს ფაიგ გულიევს და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციის წევრებს ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების ბაზაზე უმასპინძლეს.

შეხვედრებს აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში ფეიგ გულიევი, მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილეები ლაშა დოლიძე, ლაშა ავალიანი და სამინისტროს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

მინისტრი დავით სონღულაშვილი სომხეთის ეკონომიკის მინისტრ გევორგ პაპოიანს შეხვდა




შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები, მათ შორის, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

როგორც შეხვედრაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის და პრეზიდენტის ვაჰაგნ ხაჩატურიანის საქართველოში ვიზიტები, ხაზს უსვამს ქვეყნებს შორის მაღალი დონის პოლიტიკურ ურთიერთობებს, რაც მრავალმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობებს ქმნის.

საუბარი შეეხო სურსათის უვნებლობის, ასევე, დარგობრივი, მათ შორის, მევენახეობა-მეღვინეობის და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პრეზიდენტი ვაჰაგნ ხაჩატურიანი და სამთავრობო დელეგაციის წევრები იმყოფებოდნენ. დელეგაციის წევრმა მინისტრებმა შეხვედრები შესაბამის უწყებებში კოლეგა მინისტრებთან გამართეს.

UNESCO-მ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანა

10 დეკემბერს, ინდოეთში, ნიუ-დელიში გამართულ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შევიდა. კომიტეტის წევრმა ქვეყნებმა საქართველოს ნომინაციას მხარი ერთხმად დაუჭირეს

სესიის ფარგლებში, 11 დეკემბერს, ოფიციალური ცერემონია გაიმართა, სადაც საქართველოს დელეგაციას UNESCO-ს გენერალური დირექტორის ხელმოწერილი სერტიფიკატი გადაეცა. სერტიფიკატი ადასტურებს, რომ „ქართული ხორბლის კულტურა, ტრადიციები და რიტუალები“ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

იუნესკოს განმარტების მიხედვით, ქართული ხორბლის კულტურა მოიცავს იმ სრულ ციკლს, რომელიც ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს: ნიადაგის მომზადება დასათესად გუთნით, მოსავლის აღება შნაქვით და თავთავიდან მარცვლის გამოლეწვა კევრით. ეს ყოველივე სცდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და წარმოადგენდეს ქართული ყოფიერების, სოციალური ურთიერთობებისა და თაობათა გამოცდილების მნიშვნელოვან ნაწილს. მის განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს ასევე პურისცხობის ტრადიცია - თონეში, ფურნეში, კერასა და კეცზე დამზადებული უძველესი და რიტუალური პურების მრავალფეროვნება, რომლებიც ქართულ კულტურაში ბარაქის, ერთობისა და სიწმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა. თესვიდან პურის გამოცხობამდე გამავალი უწყვეტი ტრადიციები ქმნის იმ არქაულ, ცოცხალ მემკვიდრეობას, რომლის დაცვასა და გადაცემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იუნესკო.

იუნესკოს გადაწყვეტილებით, „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ ხდება მეხუთე ქართული კულტურა, რომელიც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაშია შეტანილი - „ქართული მრავალხმიანობის“, „ქვევრის ღვინის ტრადიციული დამზადების მეთოდის“, „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ და „ქართული ჭიდაობის“ შემდეგ.

> **დავით სონღულაშვილი:** „ყველას გილოცავთ ამ ისტორიულად მნიშვნელოვან მოვლენას!“
>
> „ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებით საქართველო უნიკალურია მთელ მსოფლიოში. UNESCO-მ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ შეიტანა. ამ აღიარებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქართული აგრარული ცოდნის უწყვეტი, ისტორიული ხაზის მნიშვნელობა“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ შეტანის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის დროს.

დავით სონღულაშვილი ქობულეთში ციტრუსის მოსავლის ჩაბარების პროცესს გაეცნო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრ დენის სალუქვაძესთან და საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად, ქობულეთში ციტრუსის მიმღებ-გადამმუშავებელ საწარმოში შპს „იბერია ორბი ციტრუსი“ იმყოფებოდა, სადაც საწარმოს ტექნოლოგიურ და საწარმოო პროცესებს გაეცნო. აღნიშნულ საწარმოს 24 საათის განმავლობაში 250 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის მიღება, დახარისხება და პარაფინირება შეუძლია.

> „უკვე ექსპორტირებულია 20 ათას ტონაზე მეტი პროდუქცია, რის შედეგადაც მიღებულია დაახლოებით 12 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი. არასტანდარტული ციტრუსის ნაწილში სუბსიდირების ფარგლებში უკვე გამოყოფილია 4 მილიონი ლარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ წლევანდელი, უხვი მოსავლის პირობებში, მთლიანად მოხდეს პროდუქციის დაბინავება“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

დავით სონღულაშვილი არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხანას შპს „Georgian Industrial Asset Management Group“-ს ეწვია, სადაც არასტანდარტული მანდარინის ჩაბარებისა და გადამუშავების პროცესს ადგილზე გაეცნო.

მიმდინარე წელს კომპანია არასტანდარტული მანდარინის შეუზღუდავი რაოდენობით მიღება-გადამუშავებას გეგმავს, რის შედეგადაც წარმოებული იქნება ციტრუსის კონცენტრატი. დამზადებული პროდუქციის ექსპორტზე რეალიზაცია იგეგმება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აგრძელებს ციტრუსის სექტორის მხარდაჭერას, რაც მიზნად ისახავს ფერმერების შემოსავლების ზრდას და არასტანდარტული პროდუქციის ეფექტიან რეალიზაციას.

დავით სონღულაშვილი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია პირდაპირ უნდა ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა აგროპროდუქციის ხარისხის და მოსავლის ორგანიზებულად დაბინავების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

> „სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა მიიღო დაბალი ხარისხის, არასტანდარტული ვაშლის დაბინავებაში. ახლა უკვე აქტიურად მიმდინარეობს ციტრუსის კრეფის სეზონი. ორი კვირის წინ ვიყავით აჭარაში, სადაც, აჭარის მთავრობის კოორდინაციით და ჩვენი მხარდაჭერით, საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა. ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა, მივიღოთ ხარისხიანი მოსავალი; ამავდროულად, მოსავალი რასაც მივიღებთ, შესაბამისად და სრულად იყოს დაბინავებული“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქცია პირდაპირ უნდა ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან. ეს არის მთავარი მიზანი, რომელსაც აუცილებლად მივაღწევთ თანმიმდევრული რეფორმით.

15 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა ხილის გადამმუშავებელმა 15 საწარმომ 40,000 ტონაზე მეტი არასტანდარტული ვაშლი ჩაიბარა. შედეგად, ფერმერებმა 12 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს, სახელმწიფო დაფინანსება 4 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამით უზრუნველყოფილია მოსავლის სრულად დაბინავება. არასტანდარტულ ვაშლს იბარებენ ხილის გადამმუშავებელი საწარმოები შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 1 აგვისტოდან 21 დეკემბრის ჩათვლით საქართველოდან ექსპორტირებულია 6,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 9,2 ათასი ტონა ვაშლი.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ვაშლის რაოდენობა 30%-ით (2,2 ათასი ტონა), ხოლო ღირებულება 48%-ით (2,2 მლნ აშშ დოლარი) გაიზრდა.

ნინო თანდილაშვილი გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მერვე სესიის (UNEA-8) ვიცე-პრეზიდენტად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლად მეორე ვადით აირჩიეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მერვე სესიის (UNEA-8) ვიცე-პრეზიდენტად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლად მეორე ვადით ერთხმად აირჩიეს. გადაწყვეტილება კენიის რესპუბლიკაში მიმდინარე UNEA-7-ის ფარგლებში მიიღეს.

„ჩემთვის დიდი პატივია, საქართველოს სახელით მეორე ვადით არჩეული ვიყო გაეროს უმაღლეს პლატფორმაზე, რომელიც გლობალურ დონეზე განსაზღვრავს გარემოს დაცვის დღის წესრიგს. ვიცე-პრეზიდენტის რანგში, ჩემი ქვეყნისა და რეგიონის სახელით მაქსიმუმს გავაკეთებ, რათა გაეროს უმაღლეს პლატფორმაზე ისმოდეს ის პრიორიტეტები, რაც ჩვენ გაგვაჩნია გარემოს დაცვის და ეკოსისტემების მდგრადი მართვის მიმართულებით", - განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა.

გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მეშვიდე სესიის (UNEA-7) ფარგლებში, რომელიც კენიის რესპუბლიკაში, ქ. ნაირობიში გაიმართა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი UNEA-7-ის ვიცე-პრეზიდენტის რანგში ასამბლეის პლენარულ სესიებს თავმჯდომარეობდა.

ნინო თანდილაშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პანელურ დისკუსიასა და კომიტეტების საქმიანობაში.

ევროპის საბჭოს ბერნის კონვენციის თავმჯდომარედ კარლო ამირგულაშვილი აირჩიეს

საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში, 8-12 დეკემბერს, ევროპის საბჭოს ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის (ბერნის კონვენცია) მუდმივმოქმედი კომიტეტის 45-ე სხდომა გაიმართა.

სხდომის მონაწილეებმა ბიუროს და კომიტეტის თავმჯდომარედ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის უფროსი კარლო ამირგულაშვილი აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ კარლო ამირგულაშვილი ბიუროს ვიცე-თავმჯდომარის პოზიციაზე 2021 წლიდან მუშაობდა.

ბერნის კონვენცია გარემოს დაცვის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებაა. შესაბამისად, აღნიშნულ პოზიციაზე საქართველოს წარმომადგენლის დანიშვნა ხელს შეუწყობს საქართველოს აქტიურ წარმოჩენას ევროპის კავშირის სტრუქტურებში, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულების ეფექტიან შესრულებას, საქართველოში კონვენციის დანერგვასა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში ზურმუხტის ქსელი შეიქმნა. 2023 წლის მდგომარეობით, საქართველოში, ზურმუხტის ქსელის ფართობი 1 307 501 ჰექტარს შეადგენს და 66 ტერიტორიისგან შედგება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების მართვის გეგმების შემუშავება.

ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი ავტომობილთა იმპორტიორებს შეხვდა. შეხვედრაზე ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის საკითხები განიხილეს.

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია ახალი ინიციატივები კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაციით და შეჯერებული პოზიციებით იყოს განხორციელებული.

„ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად, მიღებული გვაქვს 4 ტექნიკური რეგლამენტი, რომლებიც ეხება ბატარეებს, აკუმულატორებს, საბურავებს, ელექტრო და ელექტრონულ ნარჩენებს და ნარჩენ ზეთებს. ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვა - ლოგისტიკა, დახარისხება, სეპარირება, რეციკლირება. სწორედ აღნიშნული საკითხები განვიხილეთ ავტომობილების იმპორტიორებთან სამუშაო შეხვედრაზე. ვგეგმავთ ამ მიმართულებით ყველა ჩართულ მხარესთან მუშაობას, რათა ტექნიკური რეგლამენტის მიღებამდე, თითოეული საკითხი კერძო სექტორთან, ბიზნესთან იყოს შეთანხმებული. მინდა აღვნიშნო, რომ ნარჩენების მართვა გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი მდგენელია. ამასთან ერთად, გარემოზე ზრუნვა ბიზნესსექტორის მნიშვნელოვანი სოციალური პასუხისმგებლობაა", - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიზანია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებებისა და აღნიშნული ნარჩენების მართვის წესების განსაზღვრა, ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების ან სხვაგვარად აღდგენის უზრუნველყოფა.

ლაშა ავალიანი: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სურსათში ტრანსცხიმების შემცირების მიმართულებით"

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლაშა ავალიანი მაღალი დონის პოლიტიკურ დიალოგს „ტრანსცხიმების აღმოფხვრა, სიცოცხლის გადარჩენა" დაესწრო. შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოში ინდუსტრიულად წარმოებული ტრანსცხიმოვანი მჟავების აღმოფხვრის მიმართულებით მიღწეული პროგრესი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან, არსებული გამოწვევები, რესურსები და მრავალსექტორული თანამშრომლობის საჭიროება.

„საქართველო ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა და მიღწეული შედეგებიც ამის დასტურია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ მიმართულებით უკვე განახორციელა მასშტაბური სამუშაო, რამაც ტრანსცხიმებთან დაკავშირებული რისკების შემცირების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი უზრუნველყო", - აღნიშნა მიხეილ სარჯველაძემ.

მონაწილეებმა გაიზიარეს რეგიონული და საერთაშორისო გამოცდილება, საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის მასშტაბით ჯანსაღი კვების პოლიტიკის სრულყოფილ და ეფექტიან განხორციელებას.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სურსათში ტრანსცხიმების შემცირების მიმართულებით, გააძლიერა ლაბორატორიული შესაძლებლობები და უზრუნველყო ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლი. დამატებით იგეგმება ღონისძიებები, რომლებიც მომხმარებლებს ტრანსცხიმების შემცველობასა და მათ შესაძლო ჯანმრთელობის რისკებზე უფრო მკაფიო ინფორმაციას მიაწვდის", -აღნიშნა ლაშა ავალიანმა.

საქართველოს მიერ სურსათში ტრანსცხიმების შემცირების მიმართულებით მიღწეული პროგრესი და განხორციელებული ნაბიჯები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ზურაბ ცქიტიშვილმა წარადგინა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ევროპის რეგიონში ინდუსტრიულად წარმოებული ტრანსცხიმების ელიმინაციის დაჩქარების პროექტის ახალი ეტაპი დაიწყო, რომლის პრიორიტეტულ ქვეყნებად საქართველო, თურქეთი და ტაჯიკეთი განისაზღვრა. პროექტის მიზანია შერჩეულ ქვეყნებში ტრანსცხიმების აღმოფხვრის პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება, ასევე WHO-ს ტრანსცხიმების სერტიფიცირების პროგრამის აღსრულება.

ვარშავაში "HoReCa" სექტორის წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR" ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთის დედაქალაქში გაიმართა.

ღონისძიებას პროფესიონალები "HoReCa" (სასტუმრო, რესტორანი, კაფე) სექტორიდან, მათ შორის, ვარშავის მიშელინის ვარსკვლავის რესტორნებიდან და სომელიეები, ჯამში, 40 სტუმარი დაესწრო.

ღონისძიება მოიცავდა სემინარს ქართული ღვინის კულტურისა და პოლონეთში ქართული ღვინის გაყიდვების ზრდის ხელშეწყობის შესახებ, ასევე, დეგუსტაცია-მასტერკლასს ქართული ღვინის შეხამებაზე სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოსთან. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახელების ცხრა ღვინო.

ქართული ღვინის წარდგენას უძღვებოდნენ სომელიე, იმპორტიორი და სერტიფიცირებული ჰორეკა ტრენერი შიმონ მილონასი და მიშელინის ერთ-ერთი რესტორნის სომელიე იან კნაბერი.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა მცირე ფორმატის "Walk-around" დეგუსტაცია, რომელსაც ესწრებოდა პოლონეთში ქართული ღვინის ექვსი იმპორტიორი.

ქართული ღვინის წარდგენის მხარდამჭერი იყო პოლონეთის სომელიეთა ასოციაცია.

პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, რომელმაც ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი.

ქართული ქარვისფერი ღვინის პირველი ფესტივალი „Amber Georgia" ნიუ-იორკში გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო" ორგანიზებით, ქართული ქარვისფერი ღვინის პირველი ფესტივალი „Amber Georgia" აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკის ცნობილ საგამოფენო სივრცეში „Industry City" გაიმართა.

ფესტივალზე ქარვისფერი ღვინოები 30-მდე ღვინის მარანმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარმოადგინა.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე. ღონისძიება ხელს შეუწყობს ქართული ქარვისფერი ღვინის საექსპორტო პოზიციების გაძლიერებას აშშ-ის ბაზარზე. ფესტივალზე მოსული სტუმრების რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რაც ამერიკელი ღვინის პროფესიონალების, მომხმარებლებისა და კომერციული სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ქარვისფერი ღვინის მიმართ მზარდ ინტერესზე მიუთითებს", - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოფენებისა და ღონისძიებების კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა ელენე კიკნაძემ.

ქარვისფერი ღვინის ფესტივალის ჩატარების ინიციატივით, ღვინის ეროვნულ სააგენტოს ასოციაციამ „ბუნებრივი ღვინო" მიმართა.

„ქართული ღვინისთვის ისტორიული დღე იყო, რადგან ქართული ქარვისფერი ღვინის პირველი ფესტივალი გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენ წლების განმავლობაში ვიღებდით მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალში; ახლა კი დადგა დრო, როდესაც აშშ-ში ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა. იმედი გვაქვს, რომ ეს ღონისძიება ბევრ ქართველ მეღვინეს მისცემს ამერიკის ბაზარზე ქართული ღვინის გაყიდვის შესაძლებლობას", - აღნიშნა ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო" დირექტორმა, მეღვინე ზურაბ მღვდლიაშვილმა.

ქართული ღვინის ფესტივალს ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური კონსული მაია ბართაია დაესწრო. აშშ-ში ღვინის წარსადგენად ქართველმა მეღვინეებმა მხარდაჭერა ქალაქ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოსგანაც მიიღეს.

ქართული ქარვისფერი ღვინო, რაც ტექნოლოგიურად ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოს ნიშნავს, სახელწოდებით „დურდოზე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო", ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალს დაემატა. მანამდე, OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში სულ 7 ღვინო შედიოდა: „შუშხუნა", „ცქრიალა", „შემაგრებული", „ლიქიორული", „ბუნებრივად ტკბილი ღვინოები", „აისვაინი" და „საფუვრის აპკის ქვეშ დავარგებული ღვინო". „დურდოზე ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო" OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში მე-8 გახდა.

ქართული ღვინის წარდგენა კანადაში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ მონრეალში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე „La Grande Dégustation de Montréal" ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი.

ფესტივალი „La Grande Dégustation de Montréal" უკვე მეთხუთმეტე წელია იმართება და ის კვებეკის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებად ითვლება, რომელსაც ყოველწლიურად 10 ათასამდე ვიზიტორი ესწრება.

ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ცხრა სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც კვებეკისა და ონტარიოს რეგიონებში უკვე იყიდება.

ღონისძიების სტუმრების მხრიდან ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დიდი იყო, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის. ფესტივალს დაესწრნენ ღვინის სფეროში მომუშავე პროფესიონალები, ჟურნალისტები, ღვინის მწერლები და იმპორტიორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ღვინოები კანადიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, საბერძნეთიდან, რუმინეთიდან და სხვ ქვეყნებიდან.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს კანადაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა სალომე ქურასბედიანმა და საელჩოს წარმომადგენლებმა.

ბოლო წლების განმავლობაში, ქართული ღვინის ექსპორტი კანადაში ყოველწლიურად სტაბილურად მზარდია.



„საქართველო - პატარა ქვეყანა დიდი საგანძურით“, - ქართული ღვინის წარდგენა შანხაიში გაიმართა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში, ღვინის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაში „ProWine Shanghai“, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა ქართულ ღვინის მასტერკლასი-დეგუსტაცია სახელწოდებით „Georgia – Small Country with Big Treasures“ (საქართველო - პატარა ქვეყანა დიდი საგანძურით), რომელსაც ღვინის მაგისტრი ფონგი ვოკერი (Fongyee Walker) უძღვებოდა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ცხრა ქართული კომპანიის ღვინოები.

„ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირების კუთხით, ჩინეთის ბაზარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ღვინის ეროვნული სააგენტო, ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, ბოლო წლების განმავლობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა სახის მარკეტინგულ კამპანიას. ზოგადად, „ProWine“-ის გამოფენების ციკლთან ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. „ProWine Shanghai“-ს, ტრადიციულად, საერთო ჯამში, 100 ათასზე მეტი ვიზიტორი, მათ შორის, დისტრიბუტორი, იმპორტიორი და ღვინის პროფესიონალი ესწრება. აღნიშნული მასშტაბის და მნიშვნელობის გამოფენაში მონაწილეობა ხელს უწყობს ქართული ღვინის ექსპორტის ზრდას ჩინეთში“, - განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ, რომელიც აღნიშნულ ღონისძიებებს დაესწრო.

საერთაშორისო ფორმატის „ProWine“ გამოფენები წლის მთავარი მოვლენაა ღვინის მწარმოებლებისთვის, რომლებიც ახალ კონტაქტებს ამყარებენ, მათ შორის, იმპორტიორებთან, ეცნობიან თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მომსახურებებს. „ProWine“-ის მთავარ გამოფენას დუსელდორფი მასპინძლობს; წლის განმავლობაში კი, გამოფენები იმართება ტოკიოში, შანხაიში, მუმბაიში, სინგაპურში, ჰონგ-კონგში და სან-პაულოში. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო „ProWein“-ის გამოფენებზე გერმანიაში, ბრაზილიაში, იაპონიასა და ჩინეთში.

„საქართველოს ღვინოები: უძველესი ფესვები, თანამედროვე არომატები“ - ქართული ღვინის დეგუსტაცია აშშ-ში გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ქალაქ სან-დიეგოს ფესტივალზე „San Diego Food + Wine Festival“ გაიმართა.

ღონისძიება მოიცავდა ქართული ღვინის პროფესიონალურ დეგუსტაციებსა და მასტერკლასს სახელწოდებით: „საქართველოს ღვინოები: უძველესი ფესვები, თანამედროვე არომატები“. ჯამში, ფესტივალზე წარდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიის 30-მდე დასახელების ღვინო.

ფესტივალი „San Diego Food + Wine Festival“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღონისძიებაა ღვინისა და კულინარიის სფეროში, რომელიც 2023 და 2024 წლებში გამოცემის „USA Today” მკითხველთა მიერ საუკეთესო ფესტივალად დასახელდა. ფესტივალზე, ღვინის ასეულობით მწარმოებლებთან ერთად, თავს იყრიან ცნობილი შეფ-მზარეულები, სომელიეები, ღვინის ექსპერტები, ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლები და მომხმარებლები.

მომხმარებელზე ორიენტირებული მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და შემდგომში მასზე მოთხოვნის ზრდისთვის აშშ-ის სტრატეგიულ ბაზარზე.

აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას ღვინის ეროვნულ სააგენტო უმსხვილეს ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან „Colangelo&Partners” თანამშრომლობით ახორციელებს. კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში, ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის დეგუსტაცია-სემინარები იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე; მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას ამერიკულ ბაზარზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის წარდგენა ტექსასის შტატის ფესტივალზე „Austin Food & Wine Festival“ გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ტექსასის შტატის ქალაქ ოსტინში, ფესტივალზე „Austin Food & Wine Festival“ გაიმართა.

ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 23 ღვინო. ფესტივალის ფარგლებში, ასევე გაიმართა დეგუსტაცია-მასტერკლასი: „Georgian Wine for Everyday Drinking” (ქართული ღვინო ყოველდღიური არჩევანი).

ფესტივალს „Austin Food & Wine Festival“, რომელიც 2012 წლიდან ყოველწლიურად იმართება, ტრადიციულად, მიშელინის ვარსკვლავის მქონე რესტორნების შეფ-მზარეულები, სომელიეები, ღვინის პროფესიონალები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები და მომხმარებლები ესწრებიან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლებში ქართული ღვინის ცნობადობისა და მოთხოვნის ზრდისთვის.

აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას ღვინის ეროვნულ სააგენტო უმსხვილეს ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან „Colangelo & Partners” თანამშრომლობით ახორციელებს. კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის დეგუსტაცია-სემინარები იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე; ამასთან ერთად, მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას ამერიკულ ბაზარზე.

ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა

„Orange Wine Festival“ 2012 წლიდან ტარდება და ყოველწლიურად იმართება ავსტრიაში, იტალიასა და სლოვენიაში.

ფესტივალში საქართველოს მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე, რაც ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის წინაპირობაა.

წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 90 მწარმოებლის 350 ღვინო მსოფლიოს 12 ქვეყნიდან.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე, ასევე ქარვისფერი ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მარნები ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ქარვისფერი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „Orange Glou Fair“ და ქართული ქარვისფერი ღვინის პირველ ფესტივალში „Amber Georgia” მონაწილეობდნენ.

ქართული ღვინო საფრანგეთში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim” იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ მხარდაჭერით, საფრანგეთის ქალაქ მარსელში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.

ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გაცნობოდნენ 10-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის სხვადასხვა დასახელების ღვინოებს. ფესტივალზე ქართული ღვინო საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა, კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა ილია კახოიძემ წარადგინა.

ფესტივალი „Salon Savim” საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის ერთ-ერთი წამყვანი ღონისძიებაა, რომელსაც ყოველწლიურად ასი ათასზე მეტი ვიზიტორი, მათ შორის, ათასობით ღვინის პროფესიონალი, HoReCa სექტორის წარმომადგენელი და მომხმარებელი სტუმრობს. ფესტივალზე სულ წარმოდგენილი იყო 450-მდე ღვინის მწარმოებელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ახორციელებს, მათ შორის, მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, სადაც ქართულ ღვინოზე, განსაკუთრებით კი, ქვევრის ღვინოზე, მოთხოვნა მუდმივად მზარდია. მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, საქართველოდან საფრანგეთში 119 ათასი ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რაც 80%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

აშშ-ში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ღვინის შოუმ „V is for Vino“ ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი მოამზადა

სიუჟეტის ხანგრძლივობა ერთ საათზე მეტია და ის „V is for Vino“-ს ყველა პლატფორმაზე - ოფიციალურ გვერდზე, სოციალური მედიის არხებზე, საკაბელო ტელევარხზე - ReachTV და ამერიკის მასშტაბით 90-ზე მეტ აეროპორტში განთავსდა.

სიუჟეტში, ქართული ღვინის რვაათასწლიან ისტორიასა და თანამედროვე ინდუსტრიასთან ერთად, მოთხრობილია საქართველოს ტრადიციებისა და კულტურის შესახებ (https://visforvino.com/georgia/).

ქართული ღვინის შესახებ სიუჟეტს ასობით ათასი მაყურებელი გაეცნობა, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ქართული ღვინის საექსპორტო პოზიციების გასამყარებლად.

აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” მხარდაჭერით, ღვინის შოუს „V is for Vino“ გადამღები ჯგუფი, მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა. გადამღები ჯგუფის წევრები ღვინის მარნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწვივნენ.

აღსანიშნავია, რომ აშშ ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებს მიზანმიმართულ მარკეტინგულ აქტივობებს. ბოლო წლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, გაძლიერდა სარეკლამო კამპანიები ისეთ გავლენიან მედია საშუალებებთან, როგორიც არის CBS, CNN, „The New York Times”, „Wine Enthusiast“, რამაც აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობისა და გაყიდვების სტაბილური ზრდა განაპირობა.

დასავლეთ საქართველოს ღვინოებზე ამერიკულ გამომცემლობაში „The Wine Palate“ სტატია გამოქვეყნდა

სტატიის ავტორი, ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa Perrotti-Brown), რომელიც ღვინის ინდუსტრიაში 25 წელზე მეტია მოღვაწეობს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკული კომპანიის „Big Sky Ranch Inc” თანამშრომლობის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს მიმდინარე წლის ოქტომბერში ეწვია.

ლისა პეროტი-ბრაუნი იმერეთსა და რაჭაში იმყოფებოდა, სადაც მრავალფეროვან ქართულ ღვინოებს და ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებს გაეცნო. სპეციალური დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც, სადაც ლისა პეროტი-ბრაუნმა სხვადასხვა ღვინის კომპანიის 50-მდე ღვინო დააგემოვნა.

„ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში კახეთს რამდენჯერმე ვესტუმრე; იმერეთსა და რაჭაში პირველი მოგზაურობის შემდეგ, საქართველოს რეგიონებს შორის განსხვავებები კიდევ უფრო აშკარა გახდა. დასავლეთ საქართველო მიდრეკილია მჟავიანობის, მრავალფეროვნებისა და დახვეწილობისკენ, რაზეც გავლენას ახდენს ზღვის კლიმატი, უფრო მაღალი მდებარეობები, უფრო მსუბუქი მაცერაცია და პატარა მასშტაბის მეურნეობები“, - წერს სტატიის ავტორი.

ლისა პეროტი-ბრაუნი სტატიაში საუბრობს დასავლეთ საქართველოში გასინჯული ღვინოებიდან შერჩეული 10 საუკეთესო ღვინის შეფასებებზე.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი საქართველოში მიმდინარე წლის ივლისშიც იმყოფებოდა. ვიზიტის შემდეგ, ქართული ღვინის შეფასებებზე სტატია სათაურით „ქართული ღვინოები გლობალურ ასპარეზზე გამოდიან“ ლისა პეროტი-ბრაუნმა „The Wine Palate“-ში სექტემბერში გამოაქვეყნა.

ონლაინ გამოცემა „The Wine Palate“ (ღვინის გემო) მოიცავს ექსპერტების მიერ შეფასებული ღვინოების მონაცემთა ბაზას მთელი მსოფლიოდან, განახლებადი მიმოხილვებით.


WESTERN GEORGIA'S WINES

BY LISA PERROTTI-BROWN MW

Imereti and Racha, located on the west side of Georgia, are two remote, mountainous regions influenced by the Black Sea. They are home to a new generation of producers—small, family-owned wineries redefining the character of the country's wines. A recent trip across Georgia's rugged west revealed remarkably diverse styles compared to the east, embracing a quiet revolution in freshness and elegance.

Georgia's Wild West

„ქართული ღვინის ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება და იზრდება სტილების მრავალფეროვნებაც“, - ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე საოჯახო მარანი აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ გამოფენაში „RAW Wine NYC” მონაწილეობდა.

გამოფენაზე „RAW Wine” (The Artisan Wine Fair) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იკრიბებიან მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს საოჯახო მარნების ღვინის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ბაზრებზე. აღნიშნულ გამოფენაზე გვქონდა შესაძლებლობა, ფართო მასშტაბით წარმოგვეჩინა ქვევრის ღვინო, გაგვეცნო საერთაშორისო რეპუტაციის მქონე მეღვინეობის სფეროს წარმომადგენლებისთვის და მწარმოებლებს პოტენციური იმპორტიორების მოძიების შესაძლებლობა ჰქონოდათ“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოფენებისა და ღონისძიებების კოორდინაციის სამმართველოს უფროსმა ელენე კიკნაძემ.

გამოფენის „RAW Wine” ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. მიმდინარე წელს ქართული ღვინის მარნები, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, პარიზში, შანხაიში, ტოკიოში, კოპენჰაგენსა და ვერონაში გამართულ „RAW Wine”-ის გამოფენებში მონაწილეობდნენ.

„წელს საქართველოდან ყველაზე დიდი წარმომადგენლობა გვყავდა. როდესაც ვაგემოვნებთ ქართულ ღვინოებს, აშკარაა, რამდენად განსხვავებულია თითოეული მათგანი. ყურძნის ჯიშების ასეთი მრავალფეროვნება მართლაც უნიკალურია. ძალიან სასიამოვნოა, რომ სულ უფრო მეტი მეღვინე მუშაობს აქამდე ნაკლებად ცნობილ ჯიშებთან. ადრე, ძირითადად, რქაწითელსა და საფერავს ვხედავდით, ახლა კი, ბევრად ხშირად გვხვდება ქისი, ქიხვი, მწვანე, ასევე როზე და ბუნებრივად ცქრიალა, რაც ძალიან სასიხარულოა. შესაბამისად ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება და სტილების მრავალფეროვნებაც მეტად იზრდება“, - აღნიშნა იზაბელ ლეგერონმა.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ პროექტის „ახალგაზრდობის ხმა” მონაწილეებს უმასპინძლა

ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ირმა მდინარაძემ შეხვედრის მონაწილე ახალგაზრდებს ქართული ღვინის კულტურა, ისტორია, მიღწევები და საერთაშორისო ბაზრებზე მისი პოზიციები გააცნო. სტუმრებმა ღვინის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო სივრცე დაათვალიერეს, სადაც წარმოდგენილია ქართული ღვინის კულტურასთან დაკავშირებული ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპონატები.

პროექტის მონაწილე ახალგაზრდები საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს წარმოადგენენ. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ახალგაზრდების ჩართულობისა და მათი კვალიფიციური ცოდნის მნიშვნელობას ქართული მეღვინეობის დარგის განვითარებისთვის და ხარისხიანი ქართული ღვინის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნისთვის.

„ახალგაზრდებს გავაცანით ქართული ვაზისა და ღვინის რვაათასწლიანი უწყვეტი ტრადიციები და ისტორია. ვისაუბრეთ, რა თქმა უნდა, ღვინის ხარისხზე - თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის მიმართ გატარებულ ღონისძიებებს და როგორ ხდება მისი კონტროლი“, - აღნიშნა ირმა მდინარაძემ.

პროექტს „ახალგაზრდობის ხმა” დებატებისა და განათლების ეროვნული ინსტიტუტი 2025 წლის საგრანტო კონკურსის „ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება” ფარგლებში, ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით ახორციელებს.

„პროექტის „ახალგაზრდობის ხმა” ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, მიმდინარეობს სამზადისი დებატების ჩემპიონატისთვის.

„დღეს ახალგაზრდებს ჰქონდათ შეკითხვები ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის დაცული ყველა სტანდარტი და ჩვენს ქვეყანაში როგორია პროგრესი ამ მიმართულებით“, - აღნიშნა დებატებისა და განათლების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორმა თინათინ ცერცვაძემ.

საქართველოს მთავრობამ განიხილა და მოიწონა „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის“ მიზანია ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, ასევე, რეალიზაციისათვის აუცილებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინების ხელშეწყობა.

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“ დაარეგულირებს ვენახების გაშენების, პროდუქციის ეტიკეტირების, სამომხმარებლო ტარაში დაფასოებისა და აღრიცხვიანობის წესებს.

ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით გაზრდილია ინტერესი მევენახეობა-მეღვინეობის დარგისადმი, რაც გამოიხატება ახალი ვენახების ინტენსიურ გაშენებაში.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, ვენახი გაშენებულია შესაბამისი მევენახეობის ზონების და ქვეზონებისთვის არანებადართული ჯიშებისგან ან არასერტიფიცირებულ სანერგეში გამოყვანილი ნერგებით, რაც შემდგომში იწვევს როგორც ყურძნის წარმოების/რეალიზაციის პრობლემას, ასევე, პრობლემას ქმნის ღვინის წარმოებაში.

ახალი რეგულაცია ითვალისწინებს სამეწარმეო ვენახის გაშენებაზე თანხმობას, რომელსაც სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო გასცემს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა გაშენებული ვენახების რაოდენობა და შესაბამისად ყურძნის მოსავლიანობა, ცვლილების თანახმად, დაცული ადგილწარმოშობის ღვინისა და სპირტიანი სასმელის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ადგილწარმოშობის დასახელების ალკოჰოლიანი სასმელი წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ ამ ღვინის ან/და სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკაციაში განსაზღვრულ მიკროზონაში მოწეული ყურძნისგან.

ცვლილება ასევე განსაზღვრავს ღვინის ყველა კომპანიისთვის მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა-შეტყობინების მოთხოვნების შესრულებას.

კანონპროექტი მისაღებად გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

„საამაყოა, რომ ბოლო წლებში აქტიურად შენდება ვენახები, თუმცა ეს არ უნდა იყოს სპონტანური. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხარისხს, ექსპოზიციას, ნიადაგს, ჯიშებს. თუ ამ ყველაფერს მეწარმე გაითვალისწინებს, მას არ შეექმნება გაშენების თანხმობის მიღებაში დაბრკოლება. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური მასშტაბით ღვინის მოხმარება შემცირებულია; რთველის ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს უწევს ყურძნის შესყიდვაში ჩარევა და იმისთვის, რომ არ შეფერხდეს დარგის განვითარება, უნდა შემოვიღოთ ვენახების გაშენების რეგულაციები“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ.

სოფელ გაჯისაქენდში, აღმაშენებლის სარწყავ არხზე წყალგამანაწილებელი კვანძების მოწყობა დასრულდა

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ, საირიგაციო სისტემების გაუმჯობესების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვადასხვა სახის საექსპლუატაციო სამუშაოები.

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ გაჯისაქენდში აღმაშენებლის მაგისტრალურ არხზე 2 წყალგამანაწილებელი კვანძის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

აღნიშნული ინფრასტრუქტურული ღონისძიებები გააუმჯობესებს არხში გამტარუნარიანობას, სარწყავი წყლის მიწოდებას, ხოლო ადგილობრივ ფერმერებს დაახლოებით 150 ჰექტარი მიწის ფართობის სტაბილურად მორწყვის შესაძლებლობა მიეცემათ.

წყალგამანაწილებელი კვანძების მოწყობის სამუშაოები ქვემო ქართლში კომპანიამ საკუთარი ძალებით განახორციელა.

2012-2024 წლებში, ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია 34,000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 32,000 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

სოფელ ახალუბანში სარწყავი არხები წესრიგდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“ გორის მუნიციპალიტეტში სარწყავი არხების საექსპლუატაციო სამუშაოებს ატარებს. სოფელ ახალუბანში ტირიფონის მაგისტრალური არხის 1000-მეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა.

სოფლების - მეჯვრისხევის, ზერტისა და ბერშუეთის დაახლოებით 1000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

აღსანიშნავია, რომ 2012-2024 წლებში, შიდა ქართლის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, წყალუზრუნველყოფილია დამატებით 20 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ხოლო სარწყავი წყლის მიწოდება 15,685 ჰექტარზე გაუმჯობესდა.

„საქართველოს მელიორაცია“ სამცხე-ჯავახეთის სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციას გეგმავს

შპს „საქართველოს მელიორაცია“, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის პროექტს განახორციელებს.

„საქართველოს მელიორაციის“ შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებმა სამცხე-ჯავახეთში ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში არსებული მოქმედი და გაუქმებული სარწყავი სისტემები, ასევე მათი დაფარვის ტერიტორიები დაათვალიერეს.

ADB-ის ექსპერტები ადგილზე გაეცნენ სარწყავი ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობას, რის საფუძველზეც წინასწარი შეფასებების დოკუმენტს მოამზადებენ. შემდეგ ეტაპზე განხორციელდება საპროექტო კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს სარწყავი სისტემების ეფექტიან რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას, რაც რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების და წყლის რესურსების უკეთ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

დაბა კაზრეთში მაგისტრალურ არხზე წყლის მიმწოდებელი ახალი ნაგებობა მოეწყო

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში მაგისტრალურ სარწყავ არხზე წყლის მიმწოდებელი ახალი ნაგებობა მოეწყო.

შედეგად, გაუმჯობესდა სარწყავი სისტემის ფუნქციონირება, რადგან ახალმა კონსტრუქციამ წყლის უწყვეტი და უსაფრთხო გატარება უზრუნველყო; სრულად აღმოიფხვრა წყლის ფილტრაციის პრობლემა დაზიანებულ მონაკვეთებზე, რაც დიდ დანაკარგს იწვევდა და არხი სრულად ვერ იტვირთებოდა.

ჩატარებული საექსპლუატაციო სამუშაოები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან წყალუზრუნველყოფა, საერთო ჯამში, 65 ჰექტარ მიწის ფართობზე გაუმჯობესდა.

კაზრეთის მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სარწყავი წყლის სტაბილური მიწოდება აგრომოსავლიანობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ადგილობრივ ფერმერებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, რომ წყალი მიიღონ დანაკარგის გარეშე, განსაზღვრული გრაფიკით და მოცულობით.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქუთაისის აეროპორტის ტერიტორიაზე სანიაღვრე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 17,5კმ სიგრძის სანიაღვრე არხების მოწყობა.

საქართველოს მელიორაცია“ განახორციელებს კოპიტნარის აეროპორტის ტერიტორიიდან გამომავალი არხების წმენდას ავტობანიდან ბაშის კოლექტორამდე; მოეწყობა საავტომობილო მილხიდებიც.

ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია გაწმენდითი სამუშაოები არხი-2-ის 2543 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე; პარალელურად, მიმდინარეობს საავტომობილო მილხიდის მოწყობა.

არსებული სამელიორაციო არხების 10კმ-იანი მონაკვეთის გაწმენდის შედეგად, ჭარბი წყლის მოცილება გაუმჯობესდება 300 ჰექტრამდე მიწის ფართობზე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში სარწყავი არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

საქართველოს მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ინტენსიურად ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოების მიზანია საირიგაციო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება, წყლის მიწოდების სტაბილურობის გაზრდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების გაუმჯობესება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანდარში დასრულდა გამანაწილებელი არხის 2.4 კილომეტრიანი მონაკვეთის წმენდა დანალექი გრუნტისგან და ხე-ბუჩქნარისგან.

აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, სარწყავი წყალი უფრო სტაბილურად და დროულად მიეწოდება დაახლოებით 30-40 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს.

კახეთში, 2012-2024 წლებში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დამატებით 20 140 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია წყალუზრუნველყოფილი, სარწყავი წყლის მიწოდება 16 285 ჰექტარზე გაუმჯობესდა, დრენირებული მიწის ფართობის რაოდენობა 8 725 ჰექტარია.

სურსათის ეროვნული სააგენტო გირჩევთ

არ შეიძინოთ!!!

ხორცი, ხორცპროდუქტები, რძე და რძის ნაწარმი არაორგანიზებულ სავაჭრო ადგილებში, სადაც არ არის დაცული შენახვისა და რეალიზაციის შესაბამისი მოთხოვნები!

ონლაინ პლატფორმებზე სურსათის (ისევე როგორც სხვა პროდუქტების) შეძენა, დღეს საკმაოდ აქტუალურია. სოციალურ ქსელში ხშირია სხვადასხვა სახის სურსათის შეთავაზებების შემთხვევები, რაც გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. მომხმარებელი ზოგჯერ უნებურად ხდება არარეგისტრირებული ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული საეჭვო სურსათის რეალიზაციის ხელშემწყობი. არსებობს რისკი, რომ საფრთხე შეექმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სურსათის ეროვნული სააგენტო მომხმარებლებს ურჩევს:

სურსათის რეალიზაციის სანდო ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს სურსათის რეალიზატორის შესახებ საიდენტიფიკაციო მონაცემები (ორგანიზაციის დასახელება, მისამართი და სხვა).

- სურსათის შეძენისას, გამოიყენეთ სანდო პლატფორმები, რეგისტრირებული ონლაინ მაღაზიები ან სუპერმარკეტები.
- სურსათის ეტიკეტებზე განთავსებული ინფორმაცია მომხმარებლებს არჩევანის გაკეთებაში ეხმარება. შესაბამისად, ონლაინ პლატფორმაზე სურსათის რეალიზაციისას უნდა იძებნებოდეს შემდეგი ინფორმაცია:
- დასახელება;
- ინგრედიენტები, მათ შორის, ალერგენები;
- წონა;
- შენახვის და გამოყენების პირობები;
- მწარმოებელ/დისტრიბუტორის ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი;
- სურსათის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი;
- სურსათის გამოყენების ინსტრუქცია, თუ ინსტრუქციის გარეშე ვერ ხდება სურსათის შესაბამისად გამოყენება;
- ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ;
- დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი;

ნებისმიერ სურსათს, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისათვის, თან უნდა ახლდეს ინფორმაცია „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ" N301 ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად

- მომწოდებლისგან მიღებულ სურსათზე შეამოწმეთ სურსათის ეტიკეტი, ვარგისიანობის ვადა და დამზადების თარიღი, შეფუთვა და ტრანსპორტირების პირობები. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ მაღალი რისკის სურსათის (ხორცი, რძე, რძის პროდუქტები, თევზი და ა.შ) შეძენისას, გადაამოწმეთ მისი ტრანსპორტირების პირობები (ტემპერატურული რეჟიმი);
- დაუფასოებელი სურსათის (მაგ. ხორცი, თევზი, შემწვარი და შესაწვავი ქათამი, გოჭი, ინდაური და სხვა; მზა კულინარული ნაწარმი და სხვა) დისტანციური რეალიზაციისას, სავალდებულო ინფორმაცია უნდა განთავსდეს გარე შეფუთვაზე და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სურსათის გადაცემის (მიწოდების) დროს;

სურსათის ონლაინ შესყიდვისას ან მოწოდებისას დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე - 1501

PLMA's WORLD OF PRIVATE LABEL

აშშ-ში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე U.S. PRIVATE LABEL TRADE SHOW 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი იყო წარმოდგენილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ჩიკაგოში, საერთაშორისო გამოფენაზე U.S. Private Label Trade Show ქართული ნაციონალური პავილიონი მოეწყო, სადაც ექვსმა ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების აგროსასურსათო პროდუქცია გააცნო.

საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდნენ კომპანიები: „აჩინებული", „არომაპროდუქტი", „გრინგოლდი", „ჰობი", „ლავრ-ჯორჯია" და „კულა". გამოფენის ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ქართული წარმოების ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო ნაწარმს, ჩაის, თაფლს, ჩირს, დაფნას და ორგანულ წვენებს.

ქართულმა კომპანიებმა, გამოფენის მონაწილეებისა და ვიზიტორების ინტერესი დაიმსახურეს.

„ამერიკის ბაზარი ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი წარმოების ორგანული წვენების ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენი კომპანია შარშანაც იღებდა მონაწილეობას, რაც საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა", - აღნიშნა კომპანიის „არომაპროდუქტი" დამფუძნებელმა ვლადიმერ გუგუშვილმა.

„ჩვენი კომპანია აწარმოებს ქართული ხილის წვენებს. ამერიკის ბაზარი როგორც ჩვენთვის, ასევე სხვა ქართული კომპანიებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ველოდებით მნიშვნელოვან შედეგებს", - აღნიშნა კომპანიის „აჩინებული" დამფუძნებელმა გოჩა ღვინეფაძემ.

„მესამე წელია საერთაშორისო გამოფენაზე ვიმყოფებით. კომპანია „კულა" უკვე 30-მდე ქვეყანაშია წარმოდგენილი. აღნიშნული გამოფენა ჩვენთვის ერთ-ერთი სტრატეგიული გამოფენაა, სადაც გვეძლევა შესაძლებლობა მოვიძიოთ ახალი პარტნიორები და კიდევ უფრო გავაფართოვოთ საექსპორტო ბაზარი", - აღნიშნა კომპანიის „კულა" დირექტორმა ივანე გოგლიძემ.

„კომპანია „ლავრ - ჯორჯიამ" სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პირველად მიიღო მონაწილეობა გამოფენაში. დიდი ინტერესი იყო ჩვენი პროდუქციის, როგორც ქართული დაფნის, ასევე მისგან წარმოებული პროდუქციის დაფნის ზეთისა და დაფნის ფხვნილის მიმართ. ჩვენი კომპანია დაინტერესებულია აშშ - ში, კანადაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელებით. გვსურს, ახალ ბაზრებზე გავიდეთ, უკვე არის დაინტერესებაც", - აღნიშნა კომპანიის „ლავრ-ჯორჯია" დირექტორმა.

„ჩვენი კომპანია „ჰობი" პირველად იმყოფებოდა საერთაშორისო გამოფენაზე ჩიკაგოში. წარმოდგენილი გვქონდა ქართული თაფლის ნაირსახეობა. დიდი ინტერესი იყო ჩვენი პროდუქციის მიმართ. გვაქვს პოზიტიური მოლოდინები", - აღნიშნა კომპანიის „ჰობი" წარმომადგენელმა მიხეილ ჭიღლაძემ.

საერთაშორისო გამოფენა U.S. Private Label Trade Show, მწარმოებლებს საშუალებას აძლევს დაამყარონ ახალი კონტაქტები, გაზარდონ საექსპორტო შესაძლებლობები და აწარმოონ მოლაპარაკებები მსოფლიო ბრენდებთან პროდუქციის საერთო ბრენდის ქვეშ გაერთიანების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მწარმოებლების მარკეტინგულ ხარჯებს.

საერთაშორისო გამოფენა U.S. Private Label Trade Show ყოველი წლის ნოემბერში აშშ-ში ქალაქ ჩიკაგოში იმართება. გამოფენაში ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები იღებენ მონაწილეობას.

ეროვნული პარკები, რომლებიც ზამთარში აუცილებლად უნდა მოინახულოთ

საბადური

თბილისის ცენტრიდან სულ რაღაც 45 წუთის მანძილზე შეგიძლიათ აღმოჩნდეთ საბადურის ულამაზეს ტყეში. ზამთარში ეს ადგილი საოცრებათა სამყაროს ემსგავსება: გაყინული ხის ტოტები, ყინულის კრისტალებზე ასახული მზის სხივები და საოცარი პეიზაჟები, რომლებიც შთაბეჭდილებებითა და ემოციებით აგავსებთ. ზამთრის საბადურის ტყე - ეს არის ზღაპრული მოგზაურობა ბავშვობის ოცნებებსა და ფანტაზიებში.

ვაშლოვანი

ვაშლოვანში ზამთარი გამორჩეულია თავისი უნიკალური კლიმატითა და ლანდშაფტებით, სუფთა და გამჭირვალე ჰაერით. ვისაც ცივი ზამთრის დღეების თბილად გატარება სურს, ვაშლოვანის ეროვნული პარკი იდეალური არჩევანია. გაშლილი სივრცეები, ვიწრო ხეობებით დაყოფილი რელიეფი - „ბედლენდები“, ნახევრადუდაბნოები და მიწის პირამიდები, ლანდშაფტების სწრაფი ცვლა სრულიად სხვა, ახალ სამყაროს აღმოგაჩენინებთ.

კოლხეთის ეროვნული პარკი

ქალაქ ფოთში შეგიძლიათ გაემგზავროთ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და უჩვეულო ადგილას - კოლხეთის ეროვნულ პარკში, რომელსაც ხშირად „ქართულ ამაზონს“ უწოდებენ. აქ დატკბებით ათეულობით მილიონი წლის წინანდელი კოლხური ტყეებისა და ჭაობების სილამაზით. პალიასტომის ტბაზე, მდ. ფიჩორისა და მდ. ჭურიას უმშვენიერეს ხეობებში კატერით, პანტონით და კაიაკით გაისეირნებთ. ეროვნული პარკი უნიკალურია და ნებისმიერ სეზონზე ხელმისაწვდომი - აქ შეგიძლიათ დააკვირდეთ მიგრირებადი ფრინველების გადაფრენას, ან უბრალოდ მშვიდად დატკბეთ ბუნების სილამაზით.

ბორჯომ-ხარაგაული

ზამთრის ლაშქრობის მოყვარულებისთვის განსაკუთრებული გამოცდილებაა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის „თოვლის ფეხსაცმელების“ ბილიკი. ქათქათა თოვლი, სუფთა ჰაერი და კარგად მოწყობილი კოტეჯები ზამთრის ლაშქრობას ისეთივე შთამბეჭდავს ხდის, როგორც ზაფხულისას. თოვლით დაფარული ტყეები და მცირე კავკასიონის პანორამული ხედები წარმოუდგენელ შთაბეჭდილებებს ტოვებს.

საქართველოს ეროვნული პარკები ბუნებაში დასვენების მოყვარულებს სთავაზობს მრავალფეროვან შესაძლებლობებს: ლაშქრობას ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად, კოცონთან პიკნიკს, ღამის კარავში გატარებას და დაუვიწყარი მოგონებების შექმნას.

თუ ერთხელ მაინც მოხვდებით საქართველოს ეროვნულ პარკებში, იქ მიღებული შთაბეჭდილებები და დადებითი ემოციები მთელი ცხოვრება გაგყვებათ. აღმოაჩინეთ ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობა, თავი დააღწიეთ ყოველდღიურ რუტინას, დატკბით სიმშვიდით და ულამაზესი ბუნების ხედებით. საქართველოს ეროვნული პარკები გელით მოგზაურების მოყვარულებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებებისა და სასიამოვნო მოგონებების შესაქმნელად.

ახალი წლის სადღესასწაულო დღეების მოახლოების პარალელურად, წიწვოვანი მცენარეების მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლი მკაცრდება

! ეროვნული სატყეო სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, ნუ გაანადგურებენ ბუნებრივ სიმდიდრეს და გამოიყენონ ხელოვნური ნაძვის ხე.

წიწვოვანების უკანონოდ მოპოვებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციის წესის დარღვევაზე ჯარიმა, პირველ ჯერზე, 2000 ლარით განისაზღვრება, ხოლო განმეორების შემთხვევაში, დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამავდროულად, დაანგარიშდება გარემოსთვის მიყენებული ზიანი. თუ ზიანის ოდენობა აჭარბებს 1000 ლარს, პირის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე - ჯარიმა/ან თავისუფლების აღკვეთა 1-დან 3 წლამდე, ხოლო დიდი ოდენობით წიწვოვანის უკანონო მოპოვების შემთხვევაში, თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი აჭარბებს 3000 ლარს, სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე. ყოველ გამოვლენილ სამართალდარღვევაზე კანონმდებლობით განსაზღვრული სანქციები გატარდება

წიწვოვანი ხე-მცენარეების კანონიერად მოპოვება შესაძლებელია სანერგეებში, პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთებში, ასევე, იმპორტირება. კანონიერად მოპოვებული ხე-მცენარეების რეალიზაციის შემთხვევაში, რეალიზატორმა უნდა წარმოადგინოს ხე-მცენარის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი. თუ წიწვოვანი მცენარე მოპოვებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან ხელოვნურად გაშენებულ სანერგეში, მცენარეების ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა მათი ადგილწარმოშობის ცნობა, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია გასცემს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საინფორმაციო კამპანია - „საქართველოს ტყის ეკოსისტემა, შენარჩუნება და დაცვა“ ხორციელდება, რაც ითვალისწინებს საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის ელექტრონული და ბეჭდური მედიის გამოყენებით

სხვადასხვა ბუნებრივმა ფაქტორმა, ასევე, ადამიანების მხრიდან ტყის რესურსის არასწორმა და უკანონო გამოყენებამ საქართველოს ტყის საფარი განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა.

ტყეების ეფექტიანი მართვა არის ერთადერთი გზა, უზრუნველყოფილი იყოს, ერთი მხრივ, საქართველოს უნიკალური ბუნებრივი რესურსი - ტყე და, მეორე მხრივ, ქვეყანამ მიიღოს ეკონომიკური თუ სოციალური სარგებელი.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო პასუხისმგებელია თითქმის 1,8 მლნ ჰექტარ ტყეზე. სააგენტოს პრიორიტეტებს წარმოადგენს ამ ტყეების დაცვა, მოვლა-შენარჩუნება და მდგრადი ტყითსარგებლობა, რაც ხე-ტყის დამზადებასაც მოიცავს.
ტყე, როგორც განახლებადი ბუნებრივი რესურსი საჭიროებს ჭრასაც. მთავარია, ეს ღონისძიებები სპეციალისტების მიერ იგეგმებოდეს და მათი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდეს.
ეროვნული სატყეო სააგენტო ახორციელებს მოვლით და სანიტარიულ ჭრებს, რაც ტყის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. შესაძლებელია ეკონომიკური თვალსაზრისით გამოსაყენებელი მერქნული რესურსის მოპოვებაც, მნიშვნელოვანია არ მოვიპოვოთ იმაზე მეტი, რაც ამ ბუნებრივი რესურსის განახლებას შეაფერხებს და დააზიანებს. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა ღონისძიება ამ მიზანს ემსახურება.
ხაზგასასმელია, რომ ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტებზე კანონმდებლობის გამკაცრების მიზნით, 2025 წლის მაისის თვეში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები.
ცვლილებამდე ხე-ტყის შესაბამისი დოკუმენტების გარეშე დამზადებისა და ტრანსპორტირებისათვის, პირველ შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო 2000 ლარი ჯარიმა, ხოლო განმეორების შემთხვევაში - 5000 ლარი. ცვლილების შემდეგ, ასეთი განმეორებითი ქმედება პირდაპირ შეფასდება სისხლის სამართლებრივ დანაშაულად.
ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების პრევენციისთვის, ტყეზე მონიტორინგისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით, ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განაახლა სატყეო-სამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებები და აღჭურვილობა. შეძენილ იქნა 21 მაღალი გამავლობის ავტომანქანა რეგიონული სატყეო სამსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის; 34 ერთეული სპეციალური ტექნიკა სატყეო გზების მოწყობის, ხე-ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირებისთვის. 10 დრონი, 750 ფოტო-ხაფანგი და სამხრე კამერები ტყის კონტროლისა და მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს ტყის იშვიათი სახეობები

საქართველოში პირველად ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების ელექტრონული მონაცემთა ბაზა შეიქმნა

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით, ჯიღაურას ბაზაზე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა“ შეჯამება გაიმართა.

პროექტი განხორციელდა აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსის, ნანი გოგინაშვილის ხელმძღვანელობით, ქართველი და ავსტრიელი მეცნიერების მონაწილეობით. კვლევის მიზანს ქვეყნის ტყის ეკოსისტემებში გავრცელებული იშვიათი და რელიქტური მცენარეების კვლევა და მათ შესახებ ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა წარმოადგენდა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ლევან უჯმაჯურიძის განცხადებით, მსგავსი ბაზის შექმნა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით.

„ჩვენი ტყეები მდიდარია უნიკალური გენეტიკური რესურსებით. იშვიათი და რელიქტური სახეობების მონაცემთა ბაზა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც მნიშვნელოვანი წყარო იქნება“, - აღნიშნა ლევან უჯმაჯურიძემ.

პროექტის ფარგლებში შესწავლილი იყო 18 იშვიათი და რელიქტური სახეობა, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში გავრცელებულ უნიკარულ რელიქტურ სახეობებს - კოლხურ მუხას (Quercus hartwissiana), პონტოს მუხას (Quercus pontica), ძელქვას (Zelkova carpinifolia) და ლაფანს (Pterocarya pterocarpa).

„ჩვენი ტყეები მდიდარია იშვიათი, რელიქტური სახეობებით, რომელთა ლოკაციები მცირეა და ინფორმაცია ხშირად მწირი. სწორედ ასეთი სახეობების ინვენტარიზაცია ჩავატარეთ და შევქმენით მონაცემთა ბაზა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთანავე, შედგენილია გავრცელების რუკები და მიღებული შედეგები განთავსდება საერთაშორისო პლატფორმაზე“, - აღნიშნა ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსმა ნანი გოგინაშვილმა.

პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სამეცნიერო ექსპედიციები, აღებულ იქნა თესლის ნიმუშები და შესაბამისი სტანდარტების დაცვით შენახულ იქნა თესლთა ბანკში, რაც უზრუნველყოფს იშვიათი სახეობების გენეტიკური რესურსების დაცვას და მომავალში მათი აღდგენის შესაძლებლობას.

საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში, პროექტში ჩართული იყო დოქტორი ბერტჰოლდ ჰეინზე (Dr. Berthold Heinze) - ავსტრიის ტყეების კვლევის ცენტრის გენომის კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. მისი თქმით, საქართველოს ტყის იშვიათი მუხების კვლევა მნიშვნელოვნად შეავსებს ევროპული მუხების სისტემატიკასა და გენეტიკურ მონაცემთა ბაზას.

პროექტი აძლიერებს საქართველოს მონაწილეობას ტყის გენეტიკური რესურსების გლობალურ კონსერვაციაში. მონაცემთა ბაზა უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი იქნება საერთაშორისო პლატფორმაზე - Global Forest Watch.

რა ღონისძიებებს ატარებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და რა რაოდენობის ჯარიმების გადახდა უწევთ სამართალდამრღვევებს

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, დეპარტამენტი კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებს - სისტემატურად ამოწმებს ატმოსფერული ჰაერის მსხვილ დამბინძურებლებს - საწარმოებს, რათა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მათი საქმიანობა დადგენილ სტანდარტებს, რეგულარულად მოწმდება ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის - ბენზინისა და დიზელის ხარისხი და ქვეყნის 4 მსხვილ ქალაქში, გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლიც ყოველდღიურად მიმდინარეობს.

სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, ბოლო წლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით; მსხვილ საწარმოებს აქვთ ვალდებულება გადაიარაღდნენ და ჩაერთონ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring). ამ ვალდებულების მიზანი, გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრა და მონაცემების აღნიშნულ სისტემაში უწყვეტად გადმოცემაა. საწარმოებს სამინისტრომ შეუდგინა დეტალური გეგმები და გონივრული ვადები, რათა მოექცნენ საკანონმდებლო ჩარჩოში. სისტემაში საწარმოების ჩართვის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, უკვე ჩართულია ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 36 საწარმო, რომელთა ელექტრონული მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობს - სისტემის ცენტრალურ საცავში, მონაცემების უწყვეტად მიღება ხორციელდება უწყებ მონიტორინგს დაქვემდებარებული მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების წყაროებიდან, მათზე დამონტაჟებული მოწყობილობების მეშვეობით.

საკმაოდ მაღალია ჯარიმები იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ ვალდებულებას არ ასრულებენ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემის წარმოების შესახებ ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ორმაგდება. მომდევნო ყველა ჯერზე კი, სამართალდამრღვევი 40 ათასი ლარით დაჯარიმდება.

ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დამბინძურებლები არიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებიც. სატრანსპორტო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყნის ოთხ მსხვილ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი) გზებზე მოძრავი მანქანების გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებენ. მხოლოდ მიმდინარე წელს, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 5 ათასზე მეტი ფაქტი გამოავლინეს. ეტაპობრივად მიმდინარეობს ამ მიმართულებით დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი. ბოლო პერიოდში, გაიზარდა ეკიპაჟების რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია გამონაბოლქვის კონტროლის ეფექტიანობის გაზრდისთვის. გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა გადაჭარბებისთვის საჯარიმო სანქციები ფიზიკური პირის შემთხვევაში - 100 ლარი, იურიდიული პირის შემთხვევაში - 500 ლარია. განმეორების დროს ჯარიმები სამმაგდება.

დეპარტამენტი ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ხარისხის კონტროლსაც რეგულარულად ახორციელებს. საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი საავტომობილო ბენზინის ან/და დიზელის საწვავის მიწოდება, რომლის ხარისხიც არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს გამოიწვევს სამართალდამრღვევი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას 20 000 ლარით და შესაბამისი საწვავის ავტოგასამართ სადგურში/ნავთობპროდუქტების საცავში მიწოდებისთვის განთავსებული/განკუთვნილი ფაქტობრივი მოცულობის (ლიტრის) მიწოდების ადგილზე არსებული მიწოდების ფასის 5-ზე ნამრავლის ტოლი თანხის ოდენობით.

საწვავის ხარისხის კონტროლი მნიშვნელოვანია, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არაკონდიციური საწვავის მოხმარება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას.

ტრანსსასაზღვრო დაბინძურება ატმოსფერულ ჰაერში

ჰაერის დაბინძურება თანამედროვე გარემოს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი იწვევს. ჰაერის ხარისხის გაუარესების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ტრანსსასაზღვრო დაბინძურება, რაც იმ მავნე ნივთიერებების გავრცელებას ნიშნავს, რომლებიც ერთ ქვეყანაში წარმოიქმნება, მაგრამ ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების მეშვეობით, გადადის სხვა ქვეყნის საჰაერო სივრცეში.

ჰაერის ნაკადი, ატმოსფერული წნევა, ტემპერატურა და სხვა მეტეოროლოგიური ფაქტორები იწვევს მავნე ნივთიერებების გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში, ხშირად ასობით ან ათასობით კილომეტრის მანძილზეც. სწორედ ამიტომ, ეს საკითხი გლობალური თანამშრომლობის აუცილებელ თემად არის ქცეული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უდაბნოს მტვრის მასების გავრცელება წლის განმავლობაში პერიოდულად ფიქსირდება. სიტუაციის გაუმჯობესება კი დამოკიდებულია შესაბამისი მეტეოროლოგიური პროცესების (წვიმა, თოვლი, ქარი) განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ზეგავლენას საქართველოს ჰაერის დაბინძურებაზე ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნაწილაკების (PM10 და PM2.5) გავრცელება ახდენს. საქართველოში ტრანსსასაზღვრო დაბინძურება, თბილი სეზონის განმავლობაში, ჰაერის ხარისხის მკვეთრი გაუარესების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მტვერი აღწევს დასავლეთ საქართველომდე და ხშირად მთელ კავკასიაშიც ვრცელდება.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

ამ დროისთვის, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 18 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური, მათ შორის, 15 ავტომატური და 3 მობილური. მომავალი წლისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს 10 ახალი ავტომატური სადგური დაემატება. სადგურები აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ხელსაწყო-დანადგარებით და შესაძლებლობას იძლევა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ, გარემოს ეროვნულ სააგენტოს სრულყოფილი მონაცემები 24 საათის განმავლობაში მიაწოდოს.

ამავდროულად, სააგენტო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე 32 ქალაქში, ოთხ ეტაპად (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი), ინდიკატორულ გაზომვებსაც აგრძელებს, ბენზოლის (C_6H_6), აზოტის დიოქსიდისა (NO_2) და ოზონის (O_3) კონცენტრაციების განსასაზღვრად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში უდაბნოს მტვრის მასების გავრცელებასთან დაკავშირებით ინფორმაციას, გარემოს ეროვნული სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის, მტვრის პროგნოსტიკული ცენტრების და ეროვნული ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს. შესაბამისად, სააგენტო მუდმივად აახლებს ინფორმაციას ატმოსფერულ ჰაერში მყარი ნაწილაკების კონცენტრაციის მატებასთან დაკავშირებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და ასევე, მიიღოს ჯანდაცვითი რეკომენდაციები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე https://air.gov.ge "რეკომენდაციების" ველში.

ტრანსსასაზღვრო ატმოსფერული დაბინძურება რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც მოითხოვს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე კოორდინირებულ თანამშრომლობას. მისი მართვა აუცილებელია არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ სოციალური, ეკონომიკური და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. კლიმატის ცვლილებისა და ინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებში, ჰაერის ხარისხის დაცვა წარმოადგენს სტრატეგიულ ამოცანას, რომლის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, საერთაშორისოდ შეთანხმებული ნაბიჯებით.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ინიციატივით, ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება და მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ნიადაგის დაცვისა და მისი მდგრადი გამოყენების მნიშვნელობაზე.

„ჯანსაღი ნიადაგი - ჯანსაღი ქალაქებისთვის“, - ასეთია 2025 წლის ნიადაგის მსოფლიო დღის გზავნილი, რომელიც ყურადღებას ურბანულ გარემოში ნიადაგის მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე ამახვილებს.

ურბანიზაცია და ნიადაგი: გამოწვევები და მდგრადი მართვის პრინციპები

სტატიის ავტორი: ს/მ მეცნიერებათა აკად. დოქტორი, ნიადაგის მდგრადი მართვის სამმართველოს უფროსი ეკა სანაძე

ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ურბანიზაცია, როგორც ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე მოვლენა, მჭიდროდ უკავშირდება არამხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციების დინამიკას, არამედ ბუნებრივი გარემოს ფუნდამენტურ ცვლილებებსაც. ქალაქების ინტენსიური ზრდა და ურბანული სივრცეების ექსპანსია, თავისთავად განაპირობებს გარემოს ეკოლოგიურ დისბალანსს, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახება ნიადაგების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და ეკოსისტემური სერვისების ეფექტიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაცია ხშირად განიხილება როგორც ეკონომიკური პროგრესის, ინოვაციური პოტენციალისა და სოციალური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორი, მას თან სდევს რიგი გამოწვევები. კერძოდ, ურბანული ინფრასტრუქტურის უსისტემო გაფართოება, მწვანე სივრცეების უკონტროლო შემცირება და ნიადაგის მდგრადი მართვის პრინციპების უგულებელყოფით, არარაციონალური მიწათსარგებლობა. აღნიშნული მიდგომები აძლიერებს ეროზიულ პროცესებს, ამცირებს ბიომრავალფეროვნებას და ზრდის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ნიადაგების დესტრუქციას.

ურბანიზაციის პროცესები სულ უფრო თვალსაჩინო გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზეც. ურბანული სივრცეების გაფართოებამ და მოსახლეობის ქალაქებში გადინებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია როგორც აგრარულ სექტორში, ისე სოფლის თემების სოციალურ სტრუქტურაში. უპირველეს ყოვლისა, ურბანიზაცია იწვევს შრომის რესურსების სოფლებიდან ქალაქებში მიგრაციას, რაც აფერხებს ეროვნული წარმოების პროცესებს და ზრდის სამუშაო ძალის დეფიციტს. ამასთან ერთად, იცვლება მიწის გამოყენების სტრუქტურაც - ზოგ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო მიწები დაუმუშავებელ ან არამიზნობრივ გამოყენებას ექვემდებარება. ურბანიზაციის მდგრადი მართვა ის შესაძლებლობაა, რომელიც ურბანიზაციასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესებს შორის თანასწორობას იცავს. ბალანსის მიღწევა კი შესაძლებელია რაციონალურად შერჩეული მექანიზმების გამოყენებით, ერთიანი, გონივრული და თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებით, რომლის საფუძველსაც ურბანული ნიადაგების პრაგმატული და კეთილგონივრული მართვა წარმოადგენს.

ურბანული ნიადაგები

ურბანული ნიადაგები არ არის მხოლოდ ურბანული ეკოსისტემების ფიზიკური სივრცე, სადაც შენდება და ვითარდება ქალაქი, არამედ ისინი ეკოსისტემის სიცოცხლის მუდმივობის განმსაზღვრელია და პირდაპირ გავლენას ახდენენ ადამიანების ჯანმრთელობაზე.

ბუნებრივ ნიადაგებთან შედარებით, ურბანული ნიადაგების ფორმირება და განვითარება (პედოგენეზი) სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და ხშირად მათი ფენები, ეგზოგენური ნარევი მასალისგან შედგება. ურბანული ნიადაგების ზოგადი მახასიათებლებია: ნიადაგის პროფილის შედარებით მცირე სისქე, მაღალი სიმკვრივე, ნიადაგის არეს რეაქციის (pH) მაღალი მაჩვენებლები, ორგანული და საკვები ნივთიერებების დაბალი შემცველობები, დრენირების სუსტი ხარისხი და დაბინძურება. ინდივიდუალურ არეალებში, ეს მაჩვენებლები სხვადასხვაგვარადაა გამოსახული, რაც დამოკიდებულია ადამიანის საქმიანობის ტიპსა და მის ინტენსივობაზე.

ნიადაგების საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემაში, ურბანული ნიადაგები ძირითადად ტექნოსოლებში კლასიფიცირდება. ტექნოსოლები, სამშენებლო და ინდუსტრიული ზონის ნიადაგებია, რომლებიც ხშირად ადამიანის ტექნიკური საქმიანობით დაბინძურებულია. ძლიერ დაბინძურებული არეალები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის გამომწვევია და შესაძლოა ზოგიერთი დაავადების მაპროვოცირებელიც გახდეს. მაგალითად, რესპირატორული ან ალერგიული დაავადებების. გარდა ნიადაგების დაბინძურებისა, სამშენებლო ტერიტორიებზე ტექნოსოლების ზედაპირი იფარება სხვადასხვა სარეკონსტრუქციო მასალით (ბეტონი, ასფალტი და სხვა), რაც იწვევს ნიადაგში წყლისა და ჰაერის ცირკულაციის დარღვევას, ნიადაგის ფიზიკური თვისებების გაუარესებას და მისი ნაყოფიერების შემცირებას.

ურბანულ ნიადაგებში მოიაზრება სარეკრეაციო სივრცის ნიადაგებიც, რომლებიც ნიადაგის საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემაში, ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფად არ გამოიყოფა, რამეთუ სარეკრეაციო დანიშნულება ნიადაგის საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის კრიტერიუმს არ წარმოადგენს. სარეკრეაციო სივრცის ნიადაგები, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად ასევე მოდიფიცირებულია და ზოგჯერ დაბინძურებულია ორგანული სასუქების უკონტროლო გამოყენების შედეგად.

ნიადაგზე ურბანიზაციის უარყოფითი გავლენა

არარაციონალური ურბანიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის თვისებებზე. მაგალითად, ნიადაგის ზედაპირზე სამშენებლო ტექნიკის ინტენსიური ზემოქმედება, ნიადაგში იწვევს ფორების შემცირებას და წყლის მოძრაობის შეზღუდვას. შედეგად, ნიადაგის დატკეპნილ ფენებში, ატმოსფერული ნალექების ინფილტრირების ხარისხი მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ზრდის წყალდიდობების რისკებს.

ძველ სამრეწველო ზონებში, სადაც დაბინძურების პროცესები მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მაღალ ნიშნულს აღწევს. ასეთ შემთხვევებში ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად უარესდება, იცვლება მიკროორგანიზმების ფუნქცია და შემადგენლობა, რაც საბოლოოდ ნიადაგის დეგრადაციას განაპირობებს.

ურბანიზაციასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევებიდან საყურადღებოა რამდენიმე საკითხი: ნიადაგების დეგრადაცია, რეკრეაციული სივრცეების შემცირება და მიწების უსისტემო ათვისება, რომელიც არასათანადო სივრცითი დაგეგმარების და ნიადაგების არარაციონალური გამოყენების შედეგია. უპასუხისმგებლო და არაკვალიფიციური მიდგომები კი მომავალში შექმნის სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ გამოწვევებს. ამიტომ სირთულეების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ურბანიზაციის მდგრადი მართვის პრინციპების გათვალისწინება და მათი ეფექტური განხორციელება. კერძოდ, სივრცითი დაგეგმარება და გენერალური გეგმების რაციონალური შემუშავება, ახალ მშენებლობებთან დაკავშირებული მოთხოვნების გამკაცრება, გარემოზე ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, ეკოლოგიური მახასიათებლების მიხედვით მიწის სწორი დაგეგმვა და მართვა (ეკოლოგიური ზონირება), ნიადაგის ხარისხზე რეგულარული მონიტორინგი - ნიადაგის ნაყოფიერების დონესა და დაბინძურებაზე რეგულარული დაკვირვება, პრობლემატური წერტილების იდენტიფიცირება და მისი ანალიზი, ნიადაგის ზედაპირული დაფარვის პროცესებზე კოპერნიკის სისტემით მიწის მონიტორინგი (CLMS), ურბანიზაციასთან დაკავშირებით ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, სადაც დადგენილია ნორმები ნიადაგის დაცვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ ასევე მკაფიოდ გამიჯნულია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის პასუხისმგებლობები. დეგრადირებულ ნიადაგებში, ბიოლოგიური აქტივობების აღდგენის მიზნით ფიზიკურთან ერთად, მნიშვნელოვანია ბიოლოგიური სარეკულტივაციო ღონისძიებების განხორციელება.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქალაქის გრძელვადიანი განვითარების გეგმაში ინტეგრირებული უნდა იყოს ნიადაგის მდგრადი მართვის საკითხები. მაგალითად, ევროპის მრავალი ქალაქი წარმატებით იყენებს ნიადაგის მდგრადი მართვის სტრატეგიებს, რომლებიც ეფუძნება მწვანე ინფრასტრუქტურის განვითარებას, დაბინძურების პრევენციას და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებას.

ჩვენი ქვეყნისთვის, ურბანული ნიადაგების მდგრადი მართვა ასევე საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს. ურბანიზაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კომპეტენციის შესაბამისად, მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, საიდანაც ხაზგასასმელია რამდენიმე საკითხი:

- სამინისტრო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტს (GRAIL), რომლის ფარგლებშიც იქმნება მიწის ეროვნული საინფორმაციო სისტემა (LIS). აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს მიწისა და ნიადაგის მათ შორის ურბანულ ტერიტორიებზე, სივრცული მონაცემების, რუკებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების შესახებ ერთიანი პლატფორმის ფორმირებას, რომელიც ჩვენ ქვეყანას მისცემს მიწათსარგებლობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით გამოწვევების იდენდიფიცირების და რაციონალური სამოქმედო გეგემების შედგენის საშუალებას. LIS სისტემა გაამარტივებს გადაწყვეტილებების მიღების, მიწა/ნიადაგთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვის, უწყებათაშორისი თანამშრომლობის და სახელმწიფო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
- ურბანული ნიადაგების მართვის პროცესში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ნიადაგების დაბინძურება რჩება. სწორედ ამ მიზეზით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებული მრავალთვიანი სამუშაოების შედეგად, მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით (N 501) დამტკიცდა „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ნიადაგის დაცვის ჰიგიენურ სტანდარტებს, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს, რომელიც უზრუნველყოფს ნიადაგში დამაბინძურებელი ნივთიერებების შეღწევის პრევენციას. რეგლამენტის ამოქმედება ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებულ გარემოსდაცვით მართვას და ქვეყნის მასშტაბით, ნიადაგების დაბინძურების შემცირების პროცესს.
- საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ - დან გამომდინარე, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია “ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა”. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის “ნარჩენების მართვისა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა, ნარჩენების პრევენციის პროგრამის პროექტი, ნარჩენების რაოდენობის შეფასების ანგარიში, ნარჩენების მართვისა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობის პოლიტიკის ინსტრუმენტების დოკუმენტი, განხორციელდა ნარჩენების მართვის მონაცემთა არსებული ბაზის (wms.mepa.gov.ge) და ელექტრონული რეესტრის (waste.mepa.gov.ge) გაუმჯობესების ღონისძიებები. საკანონმდებლო ბაზის პრაქტიკასთან ადაპტაციის მიზნით, გრძელდება მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.

კავკასიური ყარნა

კავკასიური ციყვი

კავკასიური ყარანა (ლათ. Phylloscopus) - ფრინველთა გვარი ყარანასებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძეა 10–14 სმ, იწონიან 5–12,5 გ-ს. შეფერილობა მურა ან მომწვანოა, სხეულის ქვედა ნაწილი როგორც წესი ყვითელია, რამდენიმე სახეობას თვალების ზემოთ ღია ფერის „წარბი“ აქვს. გავრცელებული არიან ევროპასა და აზიაში; 1 აზიური სახეობა ალასკამდეც აღწევს. მისი არეალი მოიცავს კავკასიონს, თურქეთსა და ირანის ჩრდილოეთ ტერიტორიას. კავკასიაში ის ბუდეებს იკეთებს ზღვის დონიდან 1,700-დან 2,500 მეტრამდე ტერიტორიაზე. ბინადრობენ სხვადასხვა განედში, ბუჩქნარიანი ტუნდრიდან მუქწიწვოვან ტაიგამდე. ბუდობენ მიწაზე, ხეებზე ან ბუჩქებზე. ბუდე დახურულია, აქვს გვერდითი შესასვლელი. დებენ 4–8 წინწკლებიან ღია ფერის კვერცხს. კრუხობს უმთავრესად დედალი. ინკუბაცია 12–13 დღე-ღამე გრძელდება. იკვებებიან ობობებით, მწერებით, შემოდგომაზე ზოგჯერ კენკრითაც. კავკასიური ყარანის ზოგიერთ სახეობას ახასიათებს ფრთებისა და კუდის სხვადასხვა ტიპი, ასევე თვალების ზემოთ მსუბუქი ზოლები. კავკასიური ყარანა ძირითადად გვხვდება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. რუსეთში შემდეგ რეგიონებში გვხვდება: პრიმორსკის ტერიტორია, ხაბაროვსკის ტერიტორია, ამურის რაიონი, ებრაული ავტონომიური რეგიონი, ტრანს-ბაიკალის ტერიტორია, სახალინის რეგიონი (კრიილონის ნახევარკუნძული და კუნაშირის კუნძული). კავკასიური ყარანა ძირითადად თავს არიდებს უკიდურესად ღია ადგილებს და მკვრივ ბნელ წიწვოვან ტყეებს. კავკასიაში განსხვავებით სხვა რეგიონებისა, ბუდეებს ყვითელგულები ზღვის დონიდან 900-დან 3000 მეტრამდე სიმაღლეზე აშენებენ. ბუდე შედგება ხავსის, ბალახის ნაჭერისა და ცხენის თმისგან. ივნისში საშუალოდ დებს 6 კვერცხს, მოგვიანებით კი უფრო - ნაკლებს. ინკუბაცია გრძელდება 12-13 დღე.

კოჭობა

დიდი კოჭობა (Carpodacus rubicilla) - ფრინველი მთიულასებრთა ოჯახისა. ფრინველის სხეულის სიგრძე 20 სმ-ია. გავრცელებულია კავკასიის, ცენტრალური აზიის მთიანეთში, ტიბეტში, ჰიმალაიზე, ალთაიში. საქართველოში ბინადრობს ზამთარში, დიდთოვლობისას მომთაბარეობს ვერტიკალური მიმართულებით ალპურ მდელოებზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრის ზემოთ. ზამთარში კენკროვანი ბუჩქნარით დაფარულ მთის მდინარისპირა ველებზე ჩამოფრინდებიან. გაზაფხულზე წყვილდებიან, სხვა დროს გუნდებად ცხოვრობენ. დებენ 3–4 (6-მდე) ცისფერ, მუქწინწკლებიან კვერცხს. დიდი კოჭობასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს მდ. თერგის ხეობაში არსებული ქაცვის ბუჩქნარი. ამ ტერიტორიებს ყოველწლიურად ასობით დიდი კოჭობა იყენებს გამოსაზამთრებლად.

კავკასიური ციყვი ანუ სპარსული ციყვი (Sciurus anomalus) - გავრცელება: გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში – კავკასიონის სამხრეთ და მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე, ძირითადად ბინადრობს წიწვოვან და შერეულ ტყეებში, გვხვდება წიფლნარებში, წაბლნარებში, თხილნარებსა და მუხნარებში, აგრეთვე ხეხილის ბაღებში. მისი საერთო სიგრძეა 32–36 სმ, კუდის სიგრძე 13-დან 18 სმ-მდე. მასა 250-დან 410 გრამამდე. სხეულის ზედა ნაწილის ფერი დამოკიდებულია ქვესახეობაზე და მერყეობს მონაცრისფრო-ყავისფერიდან ღია რუხამდე, სხეულის ქვედა ნაწილის ფერი - ჟანგიანი ყავისფერიდან მოყვითალომდე, ხოლო კუდისა - ყვითელ-ყავისფერიდან მუქ წითლამდე. კლანჭები შედარებით მოკლეა, ვიდრე სხვა ხის ციყვებისა. მდედრებს აქვთ რვა ან ათი სარძევე ჯირკვალი. წელს ჩატარებულმა მოკვლევამ დაადგინა, რომ სახეობა უხვადაა თურქეთში, თუმცა შემცირება შეინიშნება ლევანტის რეგიონში. 1993 წელს ისრაელში ჩატარებული მოკვლევის მიხედვით შესწავლილ ტერიტორიაზე სახეობა გადაშენების საფრთხესთან ახლოს მდგომი იყო. სახეობაზე ნადირობა აკრძალულია ცენტრალური სანადირო კომისიის მიერ, დაცულია ბერნის კონვენციითა და ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივით.

ტარბი

ტარბი (Pastor [Sturnus] roseus) - ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 23 სმ-ს აღწევს. ვარდისფერია, თავი, ფრთები და ბოლო მოლურჯო-შავი აქვს. გავრცელებულია ველებისა და ნახევრად უდაბნოს ზონაში - უნგრეთიდან დასავლეთ ალთაისა და ავღანეთამდე. ზამთრობს ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. საქართველოში გვხვდება როგორც მობუდარი გადამფრენი ფრინველი (აპრილ-სექტემბერში). ბუდობს კოლონიებად. ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალში, ქვების ნაშალში და სხვა. დებს 5-6 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 15 დღე-ღამე. დიდი რაოდენობით სპობს კალიას. ხშირად ნომადობს კალიების გუნდებთან ერთად. შემოდგომით ზიანს აყენებს ბაღ-ვენახებს. ტარბი გამოირჩევა სხვა ფრინველებისაგან იმითაც, რომ მის ძირითად საკვებს შეადგენს სწორფრთიანები, უპირატესად – კალიები და კუტკალიები, განსაკუთრებით გამრავლების პერიოდში. ბარტყებსაც მხოლოდ კალიებით კვებავს. გამრავლების შემდგომ პერიოდში ჭამს სხვა მწერებსაც, აგრეთვე ობობებს, წვრილ მოლუსკებს და სხვ. შემოდგომით საკვებ რაციონს ემატება ნაირგვარი კენკრა, მათ შორის ყურძენი, ალუბალი, აგრეთვე სარეველა მცენარეთა თესლები.